

თიხის წიგნები

უკვე რა ხანია, კაცობრიობა ქაღალდის წიგნის ხანაში იმყოფება. წიგნი ჩვენი კულტურის და ცივილიზაციის ნიშანია, ყველა სხვა ნიშანთაგან გამორჩეული. ვერ დაამარცხა იგი, ვერ სძლია მის სიყვარულს და მისდამი ერთგულებას ვერც რადიომ და ვერც ტელევიზორმა. ვერც კომპუტერმა, მეოცე საუკუნის გენიალურმა ქმნილებამ, შეცვალა იგი, არათუ ვერ შეცვალა, პირიქით, მონაწილეობს კიდევ მის სრულყოფაში, მისი ახალ-ახალი ფორმების ძიებაში. შორეულ ჰორიზონტზეც კი არ ჩანს მისი დასასრული, როგორც არ ჩანს დასაწყისი. რომელი იყო პირველი წიგნი, რომელ ქვაზე, რომელ თიხაზე დაიწერა პირველად? მისი დასაბამი მითოსის სფეროშია საძიებელი. და მართლაც, იმ ხალხმა, რომელმაც პირველი წიგნი შექმნა, მისი წარმოშობის მითოსიც შექმნა. აი, როგორ შეიქმნა პირველი წიგნი, დაწერილი სიტყვა, მათი წარმოსახვით. წიგნის შემქმნელის სახელიც ცნობილია – ეს ენმერქარია, შუმერის განთქმული ქალაქის, ურუქის მეფე. იგი მაცნის პირით შორეული არათას ბატონს უგზავნის გამოცანებს, რომელიც მან უნდა ამოხსნას და პასუხი იმავე მაცნის პირით უკანვე გამოუგზავნოს. თავის მხრივ, არათას მბრძანებელიც უგზავნის მას ამოსახსნელად ამოცანებს. ბოლოს, როცა მეფის დანაბარები სიტყვები მაცნემ ვერ დაიმასსოვრა, ენმერქარმა ნედლ თიხაზე აღბეჭდა ყველაფერი, რაც მაცნეს ზეპირად უნდა წაელო მეტოქესთან. “მას შემდეგ, რაც სიტყვები გართულდა და მაცნემ ვერ გაიმეორა ისინი, ენმერქარი თიხას შეეხო და სიტყვა ფირფიტაზე აღბეჭდა. აქამდე თიხაზე მოთავსებული სიტყვა არ არსებობდა. ახლა კი, ღმერთო უთუ, ასე მოხდა! ენმერქარმა სიტყვა ფირფიტაზე აღბეჭდა, ჭეშმარიტად ასე მოხდა!” ამგვარად გადმოგვცემს ამ ღირსშესანიშნავ ამბავს ეპოსის უცნობი ავტორი.

და მაცნეს ამის შემდეგ აღარ ექნებოდა იმაზე ფიქრი, ვაითუ სიტყვა დავიწყებოდა ან ისევე სრულყოფილად არ მიეტანა ადრესატთან, როგორც დააბარეს. მაშასადამე, დამწერლობა და წიგნიც მეხსიერების მოღუნებას შეუქმნია. წიგნი პროგრესია, თუმცა იგი მეხსიერების რეგრესმა შექმნა. აღამიანი აღარ ენდო თავის მეხსიერებას და თავისი ნაფიქრალი რაღაც ნიშნებს და მყარ საგანს ანდო. ერთხელ და სამუდამოდ ჩაბეჭდა თავისი ნათქვამი, რათა არ წაშლილიყო ხსოვნიდან. თიხა საიმედო მასალა იყო იმისათვის, რომ აღბეჭდილ სიტყვას გაქრობის ხიფათი არ დამუქრებოდა. მას არც წყალი გადაშლიდა და არც ცეცხლი დასწავდა, რადგან თავად ცეცხლში იყო გამომწვარი. ცეცხლში გამოსურგებული თიხა საოცარ სიმსუბუქეს იძენდა. ის იყო თითქოს ბუმბულივით მსუბუქი, ოქროსფერი, გლუვი, კრიალა, მინიატურული – ხელისგულზე დაიტევდა მკითხველი, მის მუჭაში დაიმალებოდა. დღეს მას წასაკითხად გარკვეული კუთხით ხრიან, რომ სინათლეზე გამონდეს ფაქიზი, ხშირად ბეწვისოდენა ჩანაჭდევები, გამადიდებელი შუშასაც დაადირებენ, რომ თვალები არ გაიწყვალონ. ერთმა სწავლულმა, რომელსაც თიხის წიგნებთან ურთიერთობის დიდი ხნის გამოცდილება ჰქონდა, ისიც კი იფიქრა, რომ ამ წიგნების დამწერი და მკითხველი აღამიანები ყველანი ახლომხედველები უნდა ყოფილიყვნენ – ეს “შავთავიანები”, როგორც წიგნებში უწოდებდნენ თავიანთ თავს ჯერ შუმერლები, მერე მთლიანად მესოპოტამიის მკვიდრნი – და ფართოდ თვალგახელილნი, როგორადაც აქანდაკებდნენ თავიანთ ბრძენკაცებს.

ენმერქარის გაგზავნილი თიხის ფირფიტა, რომელიც ამ უცნაურად მეტყველი ლურსმნებითა თუ სოლებით იყო დაფარული, იყო პირველი წერილიც და პირველი წიგნიც (ქართული ენაც ასე ამბობს). ენმერქარმა არათას ბატონს გაუგზავნა ეს უხმო ნიშნები, რათა ისინი მის ყურებში ახმიანებულიყვნენ.

წიგნი იმავე მასალისაგან მზადდება, რისგანაც სახლის კედლები, იატაკი, ჭურჭელი... ეს თიხაა, რომელიც მრავლად მოიპოვება შუამდინარეთში. ეს

არის ერთადერთი ადგილობრივი წარმოშობის საშენი მასალა. თუ რამ ქვის ნაგებობა აღმოჩენილა შუმერის თუ ბაბილონის განათხარ ფენებში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ქვა – გრანიტი იქნება, ბაზალტი თუ დიორიტი, ნამდვილად გარედან არის შემოტანილი. თუმცა სახლებს ამ ძვირფასი მასალისგან არ აშენებდნენ. მას ისევ და ისევ წარწერებისთვის იყენებდნენ. სიმტიციცისათვის მათ თიხასავით არც მზეზე გაშრობა-გახმობა და არც ცეცხლში გამოწვა სჭირდებოდა. უამრავი ბაზალტის თუ დიორიტის ქანდაკებაა შემონახული შუმერის ქალაქ-სახელმწიფო ლაგაშიდან. შემოგვეურებს ქალაქის განმგებლის გუდეას (ძვ.წ. XXII ს.) სახე, წარწერები კი მის ღვაწლზე მოგვითხრობენ. საკულტო დანიშნულების რომ არ ყოფილიყო ეს ქანდაკებები, ილუსტრირებულ წიგნებად ჩავთვლიდით მათ. აგერ, თიხის ცილინდრული სვეტი (სიმაღლე 61 სმ, დიამეტრი 32 სმ), რომლის გარშემო ოცდაათ სვეტად არის ჩაბეჭდილი ვრცელი წარწერა – შუმერული ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლი, სადაც მითოლოგიური ენით გადმოცემულია ტაძრის შენების პროცესი საძირკვლის ჩაყრიდან მის განათვლამდე. მაგრამ მაინც იშვიათია ამ სახის სტაციონარული “წიგნები”, მით უმეტეს თუ ისინი ძვირფას მასალაზეა დაწერილი: ერთ-ერთი მათგანი ბაბილონის მეფის ხამურაბის (ძვ.წ. XVIII ს.) განთქმული კანონებია, რომლებიც ორმოცამდე სვეტად ორი მეტრის სიმაღლის შავ ბაზალტზეა ამოკვეთილი.

ღურსმული წიგნების “ქალაღდი” მაინც თიხაა, ოღონდ “საქალაღდე” თიხა საგანგებოდ არის გაცხრილული, რომ თიხა, როგორც გამტკიცული ფქვილი ერთგვაროვანი იყოს, რომ ასახეელ მასაში მოყოლილმა ხვინჭკამ და სხვადასხვა მინარევებმა სიგლუვე არ დაუკარგონ მას. წიგნის შესაქმნელად იმავე ხარისხის თიხას იყენებდნენ, რისგანაც ძვირფასი ჭურჭელი მზადდებოდა. ძალზე მარტივი იყო ამ თიხის ქალაღდის დამზადების ტექნოლოგია: თიხას ჩაყრიდნენ წყალში გასარეცხად, მსუბუქი მინარევები, რაც კი შერეული იყო თიხაში – ხისა თუ ჩაღის ნამუსრევები, ბზე თუ ფოთლები – მაღლა ამოტივტივდებოდა, მძიმე

ჩაიძირებოდა – შუაში კი უმინარეგო, სუფთა თიხა დარჩებოდა. შეექმლოთ მდინარის ნაპირზეც მოეპოვებინად ბუნებრივად გამტკიცებული თიხა: მდინარის დინება ნაპირისკენ განშლიდა თიხას, მსუბუქ მინარეგებს ტალღა გადააცლიდა და დინებას გაატანდა, ქვები და ქვიშა ძირს რჩებოდა. მომპოვებელი მოხსნიდა ზედა ფენას და გადასამუშავებლად წაიღებდა. არც შემდგომი ეტაპი იყო რთული: თიხა საგულდაგულოდ იზილებოდა, როგორც საპურე ცომი, მზელელი ხელებით გრძნობდა საჭირო კონსისტენციას, რომელიც საწიგნე თიხას უნდა ჰქონოდა. თიხის “ცომს” პროფესიონალი ხელოსანი, შეკვეთისამებრ, – გააჩნია, რა ხასიათის წიგნისთვის იყო იგი გამიზნული, თანაბარზომიერ კვადრატულ ფილებად დაჭრიდა. ფილას, რომელსაც დაფას (ფორმის გამო) ან ფირფიტას (სიმსუბუქის გამო) დავარქმევთ, გლუვი და ოდნავ ამობურცული ზედაპირი უნდა ჰქონოდა. ორივე ზედაპირი, რადგან დაფის ორივე მხარეს იყენებდნენ საწერად, ვერტიკალურ სვეტებად დაიყოფოდა, რათა მათ შორის, სანამ ზედაპირი ნოტიო იყო, მწერალს (დამწერს, გადამწერს) ღერწმის ღერით შეძლებოდა ნიშნების ჩატეკება, რომლებიც რბილ თიხაზე სოლებისა თუ ლურსმნების ფორმას იღებდა. თუ ნაწარმოები მცირე მოცულობის იყო, მისთვის საკმარისი იქნებოდა ერთი დაფა ან დაფის მხოლოდ ერთი მხარე. თუ ნაწარმოები დიდი მოცულობისა იყო, მის ტექსტს რამდენიმე დაფა დასჭირდება (მაგალითად, “გილგამეშის ეპოსი” თორმეტი დაფისაგან შედგება, კოსმოგონიური პოემა “ენუმა ელიშ” ექვს დაფას მოცავს). დაფის ორივე მხარე წარწერილია ისე, რომ დაფის “გადაშლისას” (ანუ გადმოტრიალებისას) პირველი მხარის ქვედა ნაწილი მეორე მხარის თავში მოექცევა. ამგვარად დამზადებულ თიხის ფირფიტა-წიგნებს მზეზე გააშრობდნენ და, თუ დაფის შინაარსი მნიშვნელოვანი იყო და დიდხანს შენახვას იმსახურებდა, ცეცხლში გამოწვავდნენ. წარწერიანი დაფის ცეცხლში გამოწვა იყო “წიგნის” დამზადების საბოლოო, მისი ასე ვთქვათ, “ტიპოგრაფიიდან” გამოსვლის ეტაპი.

ამის შემდეგ მას ველარაფერს დააკლებდა ვერც ნესტი, ვერც წყალი და ვერც ცეცხლი, პირიქით, ხანძარში მოხვედრილი თიხის “წიგნი” კიდევ უფრო გამძლე ხდებოდა. ცეცხლში გამომწვარი დაფა იყო მსუბუქი, ის ოქროსფრად კრიალებდა, დროთა მანძილზე ხშირი ხმარებით უფრო კრიალა და გლუვი ხდებოდა, არ იცრიცებოდა ჩვენი ქალაქლივით, რომელიც სწორედ ხშირი გადაფურცვლა-გადმოფურცვლით კარგავს თავდაპირველ თვისებებს.

მაგრამ ერთ რამეში გავს ეს თიხის წიგნი ქალაქლის წიგნს: თქვენ წარმოიდგინეთ, მასაც უნდება ჭია. ჭიას შეუძლია გაღრღნას გამომწვარი თიხაც კი ერთი ზედაპირიდან მეორე ზედაპირამდე, გაიტანოს მის გამჭოლად თავისი ზომის ხვრელი; მაგრამ ზიანი არცთუ მნიშვნელოვანი იქნება: დიდი-დიდი ორიოდ ნიშანი დააზიანოს ტექსტში, მის ორივე გვერდზე. ნესტი, რომელიც ქალაქს ალპობს, თიხის წიგნს მხოლოდ მოცულობაში ზრდის, გაბერავს მას, მაგრამ არ არის ძნელი მისი თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა. რამ შეიძლება გამოუსწორებლად დააზიანოს თიხის წიგნი? ერთადერთმა – ძლიერმა დარტყმამ, რომელიც თუ არ დაფშენის მას, შუაზე გადატეხავს ან მოსტეხავს მას ქვემო ან ზემო კიდეს. ქალაქ ნინევიის დაფათსაცავში, რომელიც ხანძარმა იმსხვერპლა, აღმოაჩინეს ზემოსართულებიდან ჩამოყრილი დაფების ნამუსრევები; ზოგი ნატეხი სად ეგდო, ზოგი – სად. მეცნიერებს დასჭირდათ დიდი შრომა, რათა ერთმანეთისათვის მიესადაგებინათ გაფანტული “ფურცლების” ნაგლეჯები.

ახლა შევიდეთ თიხის დაფების “ბიბლიოთეკაში”, აშურის მეფის აშურბანიპალის სამეფო დაფათსაცავში. იმ ტიპის უნივერსალური დაფათსაცავი, სადაც არა მხოლოდ სახელმწიფო დოკუმენტები, დიპლომატიური მიწერ-მოწერა თუ საკანცელარიო ან სამეურნეო დავთრები თუ სხვა რაიმე სახის ტექსტები ინახებოდა, არამედ მხატვრული და რელიგიური ლიტერატურაც იყო დაცული, პირველად, როგორც ჩანს, აშურბანიპალმა შექმნა სატახტო ქალაქ ნინევიასში. როგორც ჩანს, ეს იყო ცენტრალიზებული არქივ-ბიბლიოთეკა, რომელიც

მოიცავდა აშურისა და, შესაძლოა, მის მიერ დაპყრობილი ბაბილონეთის სხვადასხვა კუთხეებიდან მოკრებილ დაფებს, როგორც ორიგინალებს, ისე ასლებს, რომლებსაც თავად მეფე აშურბანიპალი უკვეთდა დახელოვნებულ, პატიოსან უცდომელ გადამწერებს.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას მსოფლიოში პირველი ბიბლიოთეკის დამაარსებელზე. შემორჩენილია აშურბანიპალის მომუმენტური ფიგურა – ქანდაკება: ქვიდან გვიყურებს ძლიერი ნებისა და მხნეობის, საკუთარ თავში (თუ აშურ-ღმერთში) დაჯერებული ადამიანი. მისი სასახლის რელიეფები გამოხატავდა ღომებზე ნადირობისა და ბრძოლების სცენებს. უბადლო მხედარი, შეუდარებელი მხედართმთავარი და მარჯვე დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე, თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი იყო. იცოდა სამი ენა, მათ შორის შუმერული, რომელიც, მსგავსად ლათინურისა ევროპაში ან სანსკრიტისა ინდოეთში, შუამდინარეთის ისტორიის მთელ მანძილზე წმიდა ენად ითვლებოდა; განსწავლული იყო ასტრონომიაში, აშურეთ-ბაბილონური სწავლულობის პრიორიტეტულ დარგში და, რაც ჩვენთვის საინტერესოა, პოეზიაშიც უცდია “კალამი”, რასაც მოწმობს ელეგიური სტრიქონები, სადაც მეფე თავსდატყვილ უბედურებებზე მოთქვამს. “ბედის სამდურავი” მის ეპოქაში გავრცელებული ჟანრი იყო და მეფემაც, როგორც ჩვენში დავით აღმაშენებელმა სინანულის კანონი, პიროვნული განცდებისა თუ მსოფლგანცდის გადმოსაცემად გამოიყენა.

ახლა მივიდეთ ახლოს წიგნებთან, მოვძებნოთ საჭირო დაფა. გადმოვიღოთ იგი თაროდან, სადაც აწევია როგორც ცალკეული დაფები – მცირეტანიანი ნაწარმოებები, ასევე დაფათა სერიები – ეპოსები. ეს უკანასკნელნი ბეჭდიანი ბაწრით არის შეკრული. სანამ ბაწარს გავხსნიდეთ, თიხისავე ბეჭედზე ან დაფის ყუაზე (როგორც დღევანდელი წიგნების ყუებზე) ჩვენ ვკითხულობთ ნაწარმოების სათაურს და დაფათა რაოდენობასაც, რაც ყოველი დაფის ბოლოს მეორდება. ამოვიღოთ პირველი დაფა – გესურს დავიწყოთ მისი კითხვა. ვკითხულობთ, როგორც

დღეს, მარცხნიდან მარჯვნივ. ჩავიკითხავთ დაფის ერთი მხარეს (გვერდს, “ფურცელს”), “გადავფურცლავთ” მეორე გვერდს – ამისათვის დაფას ამოვატრიალებთ. წავიკითხავთ ამ გვერდსაც და მის ბოლოს მინაწერსაც ე.წ. კოლოფონს, რომელიც ერთხელ კიდევ გაგვახსენებს ნაწარმოების სათაურს, გვაუწყებს დაფის ნომერს და მომდევნო დაფის დასაწყის სტრიქონს, რათა დაკარგვის შემთხვევაში მისი იდენტიფიკაცია მოხდეს. ზოგს ასეთი მინაწერი აქვს: “არ დასრულებულა” (ანუ ჩვენებურად “გაგრძელება – თუ დასასრული – იქნება”). კოლოფონი ხშირად იმასაც გვამცნობს, თუ ვინ გადაწერა ტექსტი, გვაძლევს ცნობას ორიგინალზე, საიდანაც გადაიწერა, და დაფის პატრონზე. შეიძლება მოსდევდეს წყევლა იმ პირის მისამართით, ვინც წიგნის მითვისების მიზნით მისი მფლობელის სახელს ამოშლის. ერთი ხუთდაფიანი ეპოსის კოლოფონში წიგნის მონაცემების შემდეგ მეფის კარნახით ჩაუწერიათ: “დაფა მეხუთე ერას სერიისა (ეშქარ). აშურბანიპალმა, დიდმა მეფემ, ძლიერმა მეფემ, მსოფლიოს მეფემ, აშურის მეფემ, ძემ ასარხადონისა, აშურის მეფისა, ძისა სინახერიბისა, აშურის ძისა, ასლი სანდო დაფების პირის მიხედვით, რომლებიც აშურსა და შუმერ-აქადში მოვიძიე, ამ დაფაზე გადავწერე და ჩემს სასახლეში დავდევი. ვინც ჩემი სახელი ამოშალოს და თავისი დააწეროს, ნაბუმ, ყოვლის მწერალმა, მისი სახელი წაშალოს”.

ღმერთი ნაბუ, ბაბილონური პანთეონის ღვთაება, რომელისაც აშურშიც სცემდნენ თაყვანს, დამწერლობის გამომგონებლად და მფარველად ითვლებოდა. მისი ეპითეტები იყო “შემქმნელი დამწერლობის ნიშნებისა”, “დაფისა და ლერწმის (ანუ წიგნისა და საწერ-კალმის) უფალი”. მეფე სთხოვს მას შური იძიოს დაფის მიმთვისებელზე ბედისწერის დაფიდან (როგორც ჩვენ ვიტყვით: სიცოცხლის წიგნიდან) მისი სახელის ამოშლით. ამით მეფემ თავისი დაფათსაცავის მფარველად გამოაცხადა ღმერთი ნაბუ. მეფე არა მხოლოდ თავისი სასახლის წიგნთსაცავისთვის აწერინებდა ასლებს. შემონახულია ლოცვა-წერილი ნაბუს მიმართ, რომ მან კეთილად შეიწიროს მისი ტაძრისათვის დამზადებული დაფები. აი, ეს ლოცვა:

“ნაბუს, სრულქმნილ პირმშოს, მზრუნველს ცათა და ხმელისა, მპყრობელს სიბრძნის დაფათა, ბედისწერათა საწერელისა, დღეთა განმგრძობისა, მკვდართა მაცხოვრისა, ნათლის მფენელისა დანისლულ ხალხზე! – დიდმა მეფემ, აშურბანიპალმა, დიდებულმა, აშურის, ბელის და ნაბუს სათნო ბელადმა, მწყემსმა, ღმერთების საკურთხეველთა გამრიგემ, მათთვის საზორველის დამწესებელმა, ძემ ასარხადონისა, მსოფლიოს მეფისა, აშურის მეფისა, – რათა ცოცხლობდეს სული მისი, რათა გაგრძელდნენ დღენი მისნი, რათა მრთელი იყოს ხორცი მისი, რათა მყარი იყოს ტახტი მისი, შეწყნარებულ იქნან ლოცვანი მისნი, – ეას სიბრძნე, გალობანი, ცოდნის საუნჯე, ღმერთთა გულების შევბად მოხვეჭილი, აშურში და აქადში დაცული დაფებიდან ახალ დაფებზე გადმოვწერე, გამოვარჩიე, ნინუაში ეზიდას დაფათსაცავს შევძინე. ნაბუ, მეუფე, ცათა და ხმელისა, დაფათსაცავს ამას კეთილად მოხედე, აშურბანიპალს, შენი ღვთიურობის მოშიშს, დღენიდაგ წყალობდე! ბრძანე სიცოცხლე მისი შენი ღვთაებობის სადიდებლად!”

სამეფო ბიბლიოთეკის ნანგრევებში ურიცხვ დაფათა შორის აღმოჩნდა კატალოგებიც. ამგვარად, დაფათსაცავი ჩვენი ტრადიციული ბიბლიოთეკების ყაიდაზე იყო გამართული. კატალოგებში წიგნების სათაურები, როგორც წესი, მათი დასაწყისი სიტყვებით იყო შეტანილი. განზოგადებული სახელწოდებანი წიგნებისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. იშვიათად კოლოფონში ეპიური სერიის (*ემქარ*) სახელწოდებად ნაწარმოების მთავარი გმირის სახელს შევხვდებით. როგორც ზემოთ ვნახეთ, აშურბანიპალის საკუთარი წიგნის ეგზემპლარი “ერას სერიად” (*ემქარ ერა*) იწოდება, როცა სხვა “გამოცემაში” მას სათაურად ეს სიტყვები აქვს: *შარ გიმირ დადმე* ანუ “მეფე ყოველთა საცხოვრისთა”, რადგან ასე იწყება ვრცელი ნაწარმოები, რომელსაც ჩვენ მთავარი გმირის ერას მიხედვით “ერას ეპოსს” ვუწოდებთ. აი, რა წერია ერთ-ერთი დაფის კოლოფონში: “დაფა მესამე. მეფე ყოველთა საცხოვრისთა. ძველის (დედნის) მიხედვით გადაიწერა, შემოწმდა. გადაწერილია რიმუშ-ნაბუს, უმცროსი მოვაჭრის, აშურიბნის ძის, აშურის მწერლის მიერ...”

აშურბანიპალის დაფათსაცავში აღმოჩნდა “გილგამეშის ეპოსის” (“გილგამეშიანის”) თორმეტივე დაფა ტრადიციული სათაურით, რომელიც ტექსტის დასაწყისი სიტყვებისგან შედგება: *შა ნაკბა იმურუ* ანუ “რომელმან სიღრმე (ან ყველაფერი) იხილა”. ამ სახელით იყო ცნობილი მთელს შუამდინარეთში ასურულ-ბაბილონურენოვან მკითხველთა შორის ეს ეპოსი.

ამრიგად, წიგნის სტრუქტურა რაციონალურია, ადვილად შეგვიძლია ზოგადად გავერკვეთ მის ხასიათში მის წაკითხვამდე: რა ჟანრის არის, რამდენი დაფისგან შედგება, რამდენად სანდოდ არის გადმოწერილი ძველი დედნიდან და ა.შ. ასევე ადვილად შეგვიძლია მისი დამოწმება: მივუთითებთ რიგის მიხედვით სახელწოდებას, დაფას, სვეტს, სტრიქონს (მაგალითად, *ეშკარ ერა*, დაფა I, სვეტი I, სტრ. 1). დღეს დამოწმების ეს წესია მიღებული.

უფრო მეტიც შეგვიძლია ვთქვათ: დაფის მოყვანილობა, ფორმა, ხშირად ამხელს მის ჟანრს. მის “გადაუშლელად” ჩვენ შეგვიძლია გამოვიცნოთ, რა კატეგორიის დაფებთან გვაქვს საქმე, – უნდა ვიფიქროთ, რომ დაფათსაცავში დაფები ჟანრების მიხედვით იყო განლაგებული თაროებზე, – ეპოსია ეს, ჰიმნების კრებული თუ ასტრონომიული ტრაქტატი, შელოცვები თუ წინასწარმეტყველებანი, მეფეთა ლაშქრობის ამსახველი ანალები თუ ანდაზების კრებული, მითები თუ კანონები, დიპლომატიური საერთაშორისო თუ შიდა მიმოწერა, ჰიმნები ღმერთებისადმი და ჰიმნები გაღმერთებულ მეფეთადმი, შეგონებები თუ გაბაასებანი, თუ ლექსიკონები... და განცალკევებით ალბათ კატალოგები.

ბიბლიოთეკაში ჩვენ შევხვდებით არქაული ლიტერატურული ძეგლების სამეცნიერო გამოცემებსაც, რომლებიც აღჭურვილია აპარატით – სქოლიოებით, სადაც განმარტებულია ძველი ტექსტის ბუნდოვანი ლექსიკა... შევხვდებით სპეციალურ გამოცემებს – ტექსტებს ორ ენაზე, ჩვეულებრივ, შუმერულ და აქადურ ენებზე. შუმერული ტექსტის ყოველ სტრიქონს მოსდევს მისი აქადური საკმაოდ ზუსტი, ბწკარედული, მაგრამ მხატვრული თარგმანი. ჩანს, მთარგმნელის ამოცანა, გარდა ზუსტად და

ადექვატურად გადმოცემისა, იყო მშობლიური ენის (ამ შემთხვევაში: აქადურის) გამდიდრება შუმერული იდიომატიკით და ენობრივი მსოფლგანცდითი ელემენტებით.

ზოგიერთი დაფა, უნდა ვიფიქროთ, სასკოლო ბიბლიოთეკის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. მოწაფეთა ნაცოდვილარი შემორჩა ისტორიას. ესენია სასწავლო დაფები, რომლებზეც მოწაფეთა ხელით დაწერილია ცნობილ ეპოსთა ფრაგმენტები ან მცირეტანიანი ნაწარმოებები, როგორც ჩანს, კარნახით შესრულებული, რასაც ტექსტში დაშვებული შეცდომები მოწმობს. ზოგიერთი ნაწარმოები, მაგალითად, “ადაპას მითოსი”, დიდი ხნის მანძილზე, სანამ სრულყოფილი, პროფესიონალის ხელით გადაწერილ-გამოცემული ავთენტური ტექსტი არ აღმოჩნდა, მისი სასკოლო ვარიანტით იყო ცნობილი. ამის საპირისპიროდ იყო შემთხვევები, როცა მასწავლებლები იყენებდნენ თავიანთ მოსწავლეებს პირადი ბიბლიოთეკის შესაქმნელად. მათ ხელში უფასოდ ხვდებოდა დაფები, რომელთა მოპოვება პროფესინალთა ხელიდან საკმაოდ ძვირი დაუჯდებოდათ. დაე, ყოფილიყო მოწაფეთა ხელით გადაწერილი ასლები შეცდომებით სავსე – არც ჩვენს წიგნებშია ნაკლები შეცდომები გაპარული.

მოგვიანებით, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში, მწერალთა პრაქტიკაში შემოდის ახალი მასალა: ხის გრძელი ფირფიტა იფარებოდა ცვილის ფენით, რაზეც ადვილად აჭდევდნენ სოლისებრ ნიშნებს. ამ ხის ფირფიტების ბოლოები ტყავის ნაჭრებით იყო შეერთებული – ასე რომ, შეიძლებოდა მათი გაშლა-დაკეცვა. ამ ტიპის “წიგნები” სიმსუბუქის გამო ადვილი იყო სატარებლად, შეიძლებოდა ძველი ნაწერის წაშლა ახალი ჩანაწერების გასაკეთებლად. მიუხედავად ამისა, ცვილის წიგნებმა ვერ შეცვალა თიხის წიგნები. სიახლემ ფეხი ვერ მოიკიდა. ამ სახის მასალაზე რომ გადასულიყვნენ შუამდინარელი მწერლები, ჩვენთვის სრულიად უცნობი იქნებოდა შუმერული და აშურულ-ბაბილონური მწერლობა. ჩვენამდე ისინი უბრალოდ ვერ მოაღწევდნენ.

თიხის დაფებმა შუამდინარულ ცივილიზაციას ბოლომდე უერთგულა. იმ დრომდეც კი იქმნებოდა ისინი, როცა ბაბილონის ქურუმმა ბეროსოსმა (ბერძნული გახმოვანებით) უკვე არა თიხაზე, არამედ პაპირუსზე დაწერა თავისი ქვეყნის ისტორია ცა და მიწის დასაბამიდან მის დღეებამდე ანუ სელეუკიდების ხანამდე. ეს იყო “ბაბილონიაკა”, რომლის ფრაგმენტები მხოლოდ ქრისტიან მწერალთა ნაწერებმა შემოინახა. თიხის დაფებმა აღბეჭდეს ოდესღაც ძლევამოსილი ბაბილონის უკანასკნელი დღეები, როცა ის ელინისტური ცივილიზაციის ფარგლებში მოექცა. ამიერიდან აქ მომხდარ ამბავთა დათარიღება სელეუკიან მეფეთა წლების მიხედვით ხდებოდა. *სი-ღე-კუ-უს* – ვკითხულობთ დაფების კოლოფონებში. მაგრამ უკვე დიდი ხანი აღარ ეწერა თიხის წიგნს. ქალაქი (პაპირუსი) და ტყავი (პერგამენტი) ენაცვლება მას, წერის მანერა და ტექნიკაც, ცხადია, სრულიად იცვლება. თიხა, მიუხედავად სიაფისა მათთან შედარებით, ვერ გაუწევდა კონკურენციას ახალი ცივილიზაციის სიახლეებს – ამ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის მასალას და, რაც მთავარია, ლურსმული დამწერლობა – კონსონანტურ და ანბანურ დამწერლობას, რომელიც ჯერ ფინიკიელთა და მერე ბერძენთა წყალობით მოედო მსოფლიოს.

მაგრამ ერთი უპირატესობა ჰქონდა თიხას, თუმცა მან ვერ მოასწრო ამ შესაძლებლობის ბოლომდე რეალიზაცია და სრულყოფა. ცილინდრული ფორმის მაგარი ჯიშის მასალაზე (იშვიათად თიხაზე) სარკისებურად ამოიტვიფრებოდა ტექსტი, რათა ნედლ თიხაზე მისი გაგორებით სწორი ანაბეჭდი მიეღოთ. ამრიგად, ერთი სარკისებური დედნიდან ტექსტის ნებისმიერი რაოდენობის მიღება ანუ ტირაჟირება შეიძლებოდა. აღმოჩენილია როგორც დედნები ე.წ. ცილინდრული საბეჭდავები და ასევე მათი ანაბეჭდები თიხაზე. თუმცა წიგნებად ეს ანაბეჭდები ვერ ჩაითვლება, გლიპტიკურ ძეგლებზე ვერბალურ ტექსტებს გამოსახულებები სჭარბობს: აქ შევხვდებით მითოლოგიურ სიუჟეტებს, რომელთაც ეპიურ ტექსტებში შესატყვისები, თუმცა არაზუსტი, ეძებნება. შეიძლება ადამიანთა ფიგურებში ამოვიცნოთ გილგამეშისა და ენქიდუს სახეები; ერთ

საბეჭდავზე მეფე-მწყემსის – ეტანას ცადამაღლების ეპიზოდია გადმოცემული: იგი არწივზე ამხედრებულია და ზემოდან დაჰყურებს თავის ფარას. განსაკუთრებით პოპულარული იყო ადამიანთა ორთაბრძოლის, მხეცებთან (ლომებთან, გარეულ კამეჩებთან) ადამიანთა ბრძოლის ეპიზოდები; მზის ღმერთის ამოსვლა ორ მთას შუა; ტახტზე დაბრძანებული ღვთაების წინაშე მოკვდავის წარდგინების სცენა; ადამიანთა და ღვთაებათა ერთობლივი ღვინი; ცხვრის ფარა და ხელკომბლიანი მწყემსი; ჰერალდიკურად განლაგებული მითოლოგიური სიმბოლოები (ხე, ფრინველი, ღრიანკალი)... თანმხლები ტექსტი, რომელიც ზოგჯერ კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია, საბეჭდავის მფლობელის სახელსაც გვაუწყებს. პიროვნების დამადასტურებელი საგანგებო საბეჭდავები იმავე ფორმისაა, როგორც დღეს გავრცელებული მრგვალი ბეჭდები – ისინი შტემპელივით ერტყმოდა რბილი თიხის ზედაპირს დოკუმენტის ავთენტურობის დასადასტურებლად.

IV ათასწლეულიდან მოყოლებული გლიპტიკური ხელოვნება მასობრივი ხდება და მოგვიანო ხანაში მასკულტურის უამრავ მდარე ხარისხის ეგზემპლართა შორის, როგორც დღემდე ხდება, თითო-ოროლა ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშიც გამოეჩინა.

ბუნებრივია, რომ ეს გუტენბერგამდელი ტიპოგრაფიული მეთოდი მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნიმუშთა დედნიდან რეპროდუქციების შექმნით შემოიზღუდა. დიდი მოცულობის ტექსტების ტირაჟირებამდე საქმე არ მისულა.

თიხის წიგნებზე საუბარი სრული არ იქნება, თუ დამწერლობის იმ ტიპზე არ ვილაპარაკებთ, რომელიც ამ ბუნებრივი მასალისადმი ზედმიწევნით მისადაგებული აღმოჩნდა. ეს დამწერლობა *ლურსმულის* ან *სოლისებრის* სახელით არის ცნობილი და გავრცელებული იყო მთელს წინა აზიაში, შუამდინარულ ცივილიზაციაში მეტ-ნაკლებად ჩართულ კულტურებში – ხეთაში, მიტანში, ურარტუში, უგარიტში და, ცხადია, პირველ რიგში, შუმერის გარდა, აშურსა და ბაბილონში. შუმერულიდან მომდინარე,

შუმერულ ენას მისადაგებული *ლურსმული*, სემიტების გარდა, ინდოევროპელი და “იაფეტური” (ნ.მარის ტერმინით) მოდგმის ხალხებმაც აითვისეს. ეგვიპტემ, იეროგლიფური სისტემის სირთულის გამო, თავის ფარგლებს გარეთ ვერ განფინა თავისი დამწერლობა. აშურულ-ბაბილონური ანუ აქადური თავისი *ლურსმულით* საერთაშორისო ენად რჩებოდა, მას სწავლობდნენ ეგვიპტეშიც – ელ-ამარნაში აღმოჩენილია დიდი რაოდენობის სასკოლო და პროფესიულად შესრულებული აქადურენოვანი დაფები. ამავე ენაზე წარიმართებოდა მიწერ-მოწერა წინა აზიის მეფეთა და ფარაონებს შორის.

ენახოთ, რა პრინციპზეა აგებული ლურსმული დამწერლობის სისტემა, რომელსაც ვერც ერთმა სხვა სისტემამ ვერ გაუწია კონკურენცია ათასწლეულებში. მან განვითარებისა და დახვეწის გრძელი გზა გაიარა. იგი უძველესი ხატოვანი ნიშნების გამარტივების შედეგად არის წარმოშობილი. თუმცა უცნობია ის ენა, რომლის სიტყვებს გადმოსცემდა ეს ნახატები. არ ფიქრობენ, რომ ეს ენა შუმერული იყო. შუმერულმა ენამ მხოლოდ გამოიყვანა არსებული ნიშნები. შუმერულ კლასიკურ ხანაში ნიშნებს კიდევ შემორჩა ძველი ხატოვანი ნიშნის კონფიგურაცია და სიტყვიერი მნიშვნელობა, მაგრამ მათ ახლა ძირითადად მარცვლოვანი (სილაბური) ღირებულება აქვთ. თიხაში დაჭდევებული ჩხირი (“კალამი”) ბუნებრივად ლურსმნის ან სოლის ფორმას იღებს. ნიშანი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ვერტიკალური ან ჰორიზონტალური *სოლისგან*; სხვა რთული ნიშანი – სხვადასხვა რაოდენობის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური *სოლების* კომბინაციისგან. დროთა განმავლობაში, მოთხოვნილების კვალობაზე, ნიშნების რიცხვი თანდათან იზრდებოდა და ბოლოს ექვსასს მიაღწია. ამ ექვსას ნიშანში ზოგი იდეოგრაფულია, უმეტესი ნაწილი – მარცვალს გამოხატავს, მარცვალს, რომლითაც ნებისმიერი სიტყვის დაწერა უნდა ყოფილიყო შესაძლებელი სხვადასხვა ვარიანტით. მარცვალთა ვარიანტები კი არცთუ მცირეა, საკმაოდ მრავალრიცხოვანია. არის მარცვლები, რომლებიც თითო ხმოვანს გადმოსცემენ: ა, გ, ი, უ (ო-ს არა აქვს). ცხადია, უფრო მეტია იმ

მარცვალთა რიცხვი, რომლებიც თანხმოვანს შეიცავენ. მაგალითისთვის, თანხმოვან d-ს შემცველ მარცვალთა რაოდენობა იმდენი იქნება, რამდენი ხმოვანია ენაში: da, di, de, du, ad, id, ed, ud. ასევე შეგვიძლია ჩამოვწეროთ სხვა ანალოგიური მარცვლებიც: ბა, ბი, ბე, ბუ, აბ, იბ, ებ, უბ, გა, გი, გე, გუ, აგ, იგ, ეგ, უგ, ცა, ცი, ცუ, აც, იც, უც და ა.შ. არსებობს ორთანხმოვნიანი მარცვლები, მაგალითისთვის: ბალ, შულ, გულ, ქუნ, რით, ნაბ/ნაფ, თარ, ხულ და ა.შ. მარცვალი, თუმცა არა ყველა, გარდა ფონეტიკური მნიშვნელობისა, სიტყვიერ მნიშვნელობასაც გამოხატავს. ნიშანი ე შეიძლება წავიკითხოთ როგორც სახლი, რადგან შემერულად ე სახლს ნიშნავს. შესაბამისად, ამ ნიშნის აქადურად წამკითხველი მას გაახმოვანებს როგორც ბით, რაც აქადურად ნიშნავს სახლს. ეს არის ნიშნის ლოგოგრამული მნიშვნელობა. ასევე ნიშანი ან, რომელიც ხატოვნად წარმოადგენს ვარსკვლავს და შემერულად ნიშნავს ცას, აქადურად შეიძლება ეწაკითხულ იქნას როგორც შამე (ცა); იგივე ნიშანი შემერულად შეიძლება წაკითხულ იქნას როგორც დინგირ (დმერთი), ხოლო აქადურად – ილუ (დმერთი). ასევე გულ შეგვიძლია წავიკითხოთ ლოგოგრამულად როგორც ხარი, რადგან შემერულად გულ ხარს ნიშნავს. ამგვარი ლოგოგრამების რიცხვი ბევრია.

მარცვლებით და ლოგოგრამების გამოყენებით შეგვიძლია დავწეროთ ნებისმიერი სიტყვა რამდენიმე ვარიანტით, იმისდა მიხედვით, თუ რა მარცვლებს გამოვიყენებ. მაგალითისთვის, მე შემიძლია დავწერო ჩემი სახელი ამგვარად: ზურ-აბ ან სრულად: ზუ-უ-რაბ, ან კიდევ უფრო სრულად: ზუ-ურ-რა-აბ. ამ უცხო სახელის დასაწერად შეეძლოთ სოლისებრი დამწერლობის ფონდიდან გამოყენებინათ ნებისმიერი ნიშანი, რომელიც კი შეიძლება მისადაგებოდა მის ფონეტიკურ სახეს. მაგრამ თუ თუკი ამ საკუთარი სახელის ზურაბ ომონიმური სიტყვა აქადურ ან შემერულ ენაში მოიძებნებოდა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მისი გამოყენება მის დასაწერად. ოღონდ იმის მისანიშნებლად, რომ ეს ლოგოგრამა პიროვნების სახელად უნდა წაკითხულიყო, მის წინ დაწერდნენ ადამიანის აღმნიშვნელ ნიშანს, ე.წ. დეტერმინატივს. ნიშნების

წაკითხვის მეთოდის კიდევ ერთი მაგალითი: მარცვალთა ჯგუფი *ლუ-გალ* მის მთლიანობაში აქადურად იკითხება როგორც *შარრუ* “მეფე”, მაგრამ შემერუღად მარცვლოვანი წაკითხვით *ლუ-გალ* ნიშნავს “კაცი (*ლუ*)-დიდი (*გალ*)” ანუ მეფე.

როგორც დავინახეთ, სოლისებრი დამწერლობის სისტემის დამწერლობა ენაში გამოარჩევს არა ბგერებს, არამედ მარცვლებს; ზუსტად ისევე, როგორც ბავშვი მარცვლავს ხოლმე სიტყვებს პირველდაწყებითი სწავლისას: *ბა-ლა-ხი*, *ქა-თა-მი* და სხვა (და სწორედ ასეა დაწერილი ეს სიტყვები “დედაენაში”). ეს დამწერლობა არ იყო მისადაგებული იმისათვის, რომ აღენიშნა ბგერები, რომელთაგან შედგება ადამიანის მეტყველება. თუ შემერული ენისთვის ის ბუნებრივი იყო, ამას ვერ ვიტყვით აქადურზე, ვერც ხეთურზე, ვერც სპარსულზე, ვერც, მითუმეტეს, ურარტულზე ან ხურიტულზე, რომელთაც სილაბურ დამწერლობაში საკმაოდ შეცვლილი აქვთ სახე. ჯერ ერთი, მას არ შეუძლია გამოხატოს თანხმოვანთა შეჯგუფება (კომპლექსი), რაც ძლაზე ხშირია იბერულ-კავკასიური ენებისთვის, მათ უნდა მივაკუთვნოთ ხურიტულ-ურარტული ენები. მეორე, მისი ნიშნები ვერ გადმოცემენ ემფატიკურ თანხმოვნებს, რომელთა არსებობა ხურიტულ-ურარტულ ენებში მოსალოდნელია. ქართულ მაგალითს თუ მოვიყვანთ, გაძნელება დამახინჯების გარეშე სილაბურად დაწერა ისეთი მარტივი სიტყვისა, როგორცაა *წრე* ან *ფრთა*. პირველი სხვაგვარად ვერ დაიწერება, თუ არა, როგორც *ცერ-ე* ან *ცარ-ე*, რაც გაუგებარს ხდის მას; მეორე როგორც *ფარ-თა*, რაც სრულიად ცვლის მის მნიშვნელობას.

ერთადერთი კულტურა, სადაც სოლისებრმა ნიშანმა ბგერა გამოხატა, უგარიტული კულტურა იყო, რაც უსათუოდ მისი განვითარების მაღალ დონეს მოწმობს. სირიაში *რას აშ-შამრას* ბორცვის გათხრების დროს უგარიტის ქალაქ-სახელმწიფოს ნანგრევებში აღმოჩნდა დიდი რაოდენობის თიხის წიგნები, არა მხოლოდ უგარიტულ ენაზე დაწერილი, არამედ

აქადურზე, ხეთურზე, ხურიტულზე. აქვე აღმოჩნდა ჯერ კიდევ გაუშიფრავ მინოური დამწერლობით შესრულებული ოსტრაკები (კრამიტის ნატეხები). წინა აზიის ამ განთქმულ ენათა შორის, რომლებიც სოლისებრ დამწერლობას იყენებდნენ, მხოლოდ უგარიტული (ფინიკიურ-ებრაულის მონათესავე) ენის ტექსტებია შესრულებული კონსონანტური დამწერლობით: მის ოცდაათსავე თანხმოვანს თავისი ნიშანი აქვს. უგარიტული მწერლობის პიკი ძვ. წ. XIV-XIII საკუნეებზე მოდის. მოგვიანებით ფინიკიელებმა დამოუკიდებლად შექმნეს სიტყვების ჩაწერის კონსონანტური მეთოდი, რომელმაც დიდი გავრცელება სემიტურ (ებრაულ და არაბულ) დამწერლობაში ჰპოვა და დღემდე ასეა. ძველმა ბერძნებმა ისესხეს რა ფინიკიელთაგან დამწერლობის ნიშნები, სრულყოფის მათი გამოცდილება: შექმნეს მსოფლიოში პირველი ანბანური დამწერლობა, რომელიც დღეს მთელს დასავლურ ცივილიზაციაშია დამკვიდრებული.